

სტრასბურგი, 15 აპრილი 2020

Greco(2020)4

კორუფციის რისკები და სასარგებლო სამართლებრივი მითითებები COVID-19 -ის კონტექსტში

მომზადებულია მარინ მარსელას მიერ, GRECO-ს პრეზიდენტი

შესავალი

იმის გათვალისწინებით, რომ ქვეყნები საგანგებო სიტუაციების წინაშე აღმოჩნდნენ, რასაც თან ახლავს ძალაუფლების კონცენტრაცია, ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებებისაგან გადახვევა, დიდი მოცულობის ფინანსური სახსრების გამოყოფა და დაბანდება ეკონომიკაში კრიზისის შემსუბუქების მიზნით (ამჟამად და უახლოეს მომავალში), არ შეიძლება სათანადოდ არ შეფასდეს კორუფციის თანხლები რისკები. აქედან გამომდინარე, ყველაზე მნიშვნელოვანია ანტიკორუფციული ასპექტების გათვალისწინება ყველა იმ პროცესში, რომელიც დაკავშირებულია COVID-19-თან და უფრო ზოგადად კი, პანდემიასთან.

GRECO მუდმივად უწევს რეკომენდაციას კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლისა და მმართველობის სპეციალური ინსტრუმენტების გამოყენებას. ეს მოიცავს გამჭვირვალობას, ზედამხედველობასა და ანგარიშვალდებულებას. პანდემიით გამოწვეული საგანგებო ვითარების პირობებში, ეს ინსტრუმენტები კიდევ უფრო მეტ მნიშვნელობას იძენენ, ვიდრე ოდესმე. ისინი აქტუალურია როგორც ცენტრალურ, ასევე, ადგილობრივ დონეზე, უფლებამოსილების გადაცემის ნებისმიერი ფორმის გათვალისწინებით.

ამ მიმართულებით განსაკუთრებით აქტუალურია კორუფციაზე ევროპის საბჭოს სისხლის სამართლის¹ და სამოქალაქო სამართლის² კონვენციები, ისევე როგორც კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის ოცი სახელმძღვანელო პრინციპი და ევროპის საბჭოს სხვა ანტიკორუფციული სტანდარტები. გასათვალისწინებელია, აგრეთვე, GRECO-ს შეფასებები კორუფციის პრევენციის საკითხებზე საკანონმდებლო, ადმინისტრაციული და სასამართლო ხელისუფლების შტოებში. საჯარო სექტორში გამჭვირვალობა ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი საშუალებაა კორუფციის თავიდან ასაცილებლად, რა ფორმითაც არ უნდა იყოს იგი უზრუნველყოფილი.

¹ იხ. <https://www.coe.int/en/web/conventions/full-list/-/conventions/treaty/173>

² იხ. <https://www.coe.int/en/web/conventions/full-list/-/conventions/treaty/174>. იმ ქვეყნებს, რომლებსაც ჯერ არ მოუხდენიათ კონვენციის ხელმოწერა და რატიფიკაცია, მოუწოდებენ რაც შეიძლება მალე გააკეთონ ეს.

საგანგებო სიტუაციების დროს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს საჯარო დაწესებულებების მხრიდან რეგულარული და სანდო ინფორმაციის მიწოდებას.

ჯანდაცვის სფეროში მექრთამეობა აძვირებს სამედიცინო მომსახურეობას, ხოლო ხარისხს კი აუარესებს, რაც თავის მხრივ იწვევს სამედიცინო მომსახურეობის არათანაბარ ხელმისაწვდომობას, განსაკუთრებით მოსახლეობის მოწყვლადი ნაწილისთვის. ეს გარემოება, ასევე, ძირს უთხრის პაციენტების ნდობას სამედიცინო სერვისებისადმი და შეიძლება სერიოზული ზიანი მიაყენოს ადამიანებს (მაგ., სტანდარტით გათვალისწინებულზე უფრო დაბალი ხარისხის სამედიცინო პროდუქტების გამოყენება). გარდა ამისა, ეს იწვევს არათანაბარ კონკურენციას, რასაც სერიოზული უარყოფითი ფინანსური ზეგავლენა აქვს საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დამზღვევებზე, და შესაბამისად, სახელმწიფო ბიუჯეტზე.

COVID-19 ეპიდემიის აფეთქება ზრდის კორუფციის რისკებს. ეს ჯანმრთელობის სექტორზე განსაკუთრებით მძიმე ზეწოლას ახდენს, სამედიცინო მარაგების დაუყოვნებელი საჭიროების (რის შედეგადაც შესყიდვების წესების გამარტივება ხდება), გადატვირთული სამედიცინო დაწესებულებებისა და მაღალი დატვირთვით მომუშავე სამედიცინო პერსონალის გამო.

ჯანდაცვის სექტორში შესაძლო კორუფცია სხვადასხვა ტიპოლოგიას მოიცავს, მათ შორისაა, შესყიდვების სისტემა, სამედიცინო მომსახურეობის სფეროში მექრთამეობა, კორუფცია ახალი პროდუქტების კვლევისა და განვითარების სფეროში (R&D), ინტერესთა კონფლიქტისა და ლობირების ჩათვლით, COVID-19-თან დაკავშირებული თაღლითობა. ამ თვალსაზრისით მნიშვნელოვანია ზედამხედველობა, კერძოდ კი, მამხილებლების დაცვა ჯანდაცვის სექტორში. დაბოლოს, კერძო სექტორიც, ასევე, ექვემდებარება კორუფციის მნიშვნელოვან რისკებს. ამ დოკუმენტში მოცემულია ყველა ზემოთ ჩამოთვლილი გამოწვევები და მათი გადაჭრის გზები.

(i) შესყიდვების სისტემები

კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის ოცი სახელმძღვანელო პრინციპის³ მე-14 სახელმძღვანელო პრინციპი მოუწოდებს GRECO-ს წევრ სახელმწიფოებს „დანერგონ სახელმწიფო შესყიდვების სფეროში სათანადო გამჭვირვალე პროცედურები, რომლებიც ხელს შეუწყობენ სამართლიან კონკურენციას და აღკვეთენ კორუფციას“. კორუფციაზე ევროპის საბჭოს სამოქალაქო სამართლის კონვენცია მოითხოვს მხარე სახელმწიფოებისგან უზრუნველყოფს ეფექტური სამართლებრივი დაცვის საშუალებები იმ ფიზიკური და იურიდიული პირებისთვის, რომლებსაც ზიანი მიადგათ კორუფციული ქმედებების შედეგად, რათა მათ საშუალება ჰქონდეთ დაიცვან თავიანთი უფლებები და ინტერესები, მათ შორის, ჰქონდეთ ზიანის ანაზღაურების შესაძლებლობა.

მთელს მსოფლიოში სხვადასხვა ქვეყნების მთავრობები იღებენ კანონმდებლობას COVID-19-თან დაკავშირებულ გამოწვევებთან ბრძოლის მიზნით ჯანდაცვის სისტემების სათანადო აღჭურვის უზრუნველყოფის გზით. თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ გადაუდებელ სიტუაციებში მიღებული კანონმდებლობა დროის

³ მინისტრთა კომიტეტის რეზოლუცია CM/Res(97)24 კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის ოცი სახელმძღვანელო პრინციპის შესახებ, მიღებული 1997 წლის 6 ნოემბერს.

თვალსაზრისით ეფექტურია კრიტიკული სამედიცინო აღჭურვილობის შესასყიდად, ასეთ პირობებში შესაძლებელია სახელმწიფო ხარჯების „კონტროლისა და ბალანსისათვის“ საჭირო ზომები შერბილდეს. გარდა ამისა, შესყიდვების სისტემები შეიძლება ლობისტების სამიზნე გახდეს.

GRECO-მ გამოავლინა, რომ საჭიროა იმ სექტორების უფრო სისტემური გაანალიზება, რომლებიც ექვემდებარებიან კორუფციის მაღალ რისკს. ეს, ასევე, მოიცავს სახელმწიფო შესყიდვებს ჯანდაცვის სექტორში. უფრო მეტი გამჭვირვალობა კორუფციის თავიდან აცილების წინაპირობას წარმოადგენს. შესყიდვების სფეროს თანამდებობის პირებს ეკრძალებათ იმ ბიზნესში დასაქმება, რომლებსაც ხელშეკრულებები აქვთ გაფორმებული ზედამხედველობის ან კონტროლის განმახორციელებელ თანამდებობის პირებთან.

(ii) მექრთამეობა სამედიცინო მომსახურეობის სფეროებში

კორუფციის რისკები შეიძლება სერიოზული გამოწვევა იყოს საავადმყოფოებისა და სხვა სამედიცინო, ან სამედიცინო სფეროსთან დაკავშირებული სტრუქტურებისთვის, რომლებიც COVID-19-თან გამკლავებას ცდილობენ, რადგანაც ისინი თანამშრომლებისა და აღჭურვილობის ნაკლებობას განიცდიან. ურთიერთსაპირისპირო საჭიროებების და საგანგებო სიტუაციების პირობებში, კორუფცია შეიძლება თანმდევი გამოწვევა გახდეს, რომელიც ზიანს მიაყენებს როგორც ცალკეულ პირებს, ასევე მთლიან საზოგადოებას. აღსანიშნავია, რომ კორუფციაზე ევროპის საბჭოს სისხლის სამართლის კონვენცია წევრ სახელმწიფოებს ავალდებულებს უზრუნველყონ კერძო სექტორში აქტიური და პასიური მექრთამეობის კრიმინალიზაცია (მე-7 და მე-8 მუხლები), რაც ასევე ვრცელდება კერძო სამედიცინო მომსახურეობის მიმწოდებლებზე. გარდა ამისა, მოცემულ კონვენციაზე დაყრდნობით შემუშავდა დებულებები, რომლებიც ითვალისწინებენ ჯანდაცვის სექტორის სპეციალისტების მოსყიდვისა და კერძო სექტორში მომუშავე პირების ქმედებების კრიმინალიზაციას ადამიანის ორგანოებით ვაჭრობის სფეროში⁴.

წვრილმანი მექრთამეობა კიდევ ერთი გამოწვევაა, რომელმაც პანდემიის დროს კვლავ იჩინა თავი (მაგ. სამედიცინო სერვისებზე, ტესტებსა და მოწყობილობებზე წვდომა ან პრიორიტეტული წვდომა, გვამების შეგროვებასა და დაკრძალვასთან დაკავშირებული პროცედურები, კარანტინის წესების გვერდის ავლა და ა.შ.) ისეთ ქვეყნებშიც კი, სადაც ეს ძალიან იშვიათი იყო. აქედან გამომდინარე, გვსურს ქვეყნებს შევახსენოთ კორუფციაზე სისხლის სამართლის კონვენციის შესაბამისი დებულებები, ეროვნული და საერთაშორისო კორუფციის კრიმინალიზაციის სახელმძღვანელო პრინციპი 2 და GRECO-ს მე-3 შეფასების რაუნდის დასკვნები კორუფციის ინკრიმინირებასთან დაკავშირებით, რომლებიც განსაკუთრებით აქტუალურია.

დაბოლოს, გვსურს შევახსენოთ, რომ „ჯანმრთელობის დაცვაზე თანაბარი ხელმისაწვდომობის შესახებ“ ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის

⁴ ადამიანის ორგანოებით ვაჭრობის წინააღმდეგ ევროპის საბჭოს კონვენციის მე-7 მუხლის მე-2 დამე-3 პარაგრაფები (CETS No. 216). იხ. <https://www.coe.int/en/web/conventions/full-list/-/conventions/treaty/216>

რეზოლუცია 1946(2013) მოუწოდებს წევრ სახელმწიფოებს „დანერგონ ჯანდაცვის სექტორში კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლაზე მიმართული ზომები კორუფციის წინააღმდეგ მებრძოლ სახელმწიფოთა ჯგუფთან (GRECO) ⁵ მჭიდრო თანამშრომლობით“. GRECO მზად არის მხარი დაუჭიროს წევრ სახელმწიფოებს მოცემულ სფეროში, მათ შორის, მის მიერ ბოლო პერიოდში შემუშავებული სარეკომენდაციო ინსტრუმენტების მეშვეობით.

(iii) კორუფცია ახალი პროდუქტების კვლევებისა და განვითარების სფეროში (R&D)

კორუფციის მიმართ მოწყვლადი კიდევ ერთი პროცესი არის COVID-19 წინააღმდეგ მედიკამენტებისა და ვაქცინების კვლევასა და შემუშავებაზე განხორციელებული ინვესტირება. ამჟამად მკვლევარებისა და მეცნიერების ძალისხმევა მიმართულია COVID-19 საწინააღმდეგო მედიკამენტებისა და ვაქცინების შემუშავებაზე. ამ მიზნით დიდი მოცულობის ინვესტიციების დაბანდება ხდება კვლევასა და განვითარებაში (R&D).

შესაბამისად, საჭიროა სახელმწიფო სახსრების მართვის სფეროში რეგულირების და კონტროლის ფუნქციების მქონე სახელმწიფო ინსტიტუტების შესაძლებლობების, უფლებამოსილებისა და ანგარიშვალდებულების გაზრდა.

იგივე შეიძლება ითქვას ინტერესთა კონფლიქტის მომატებულ რისკზე, როდესაც ჯანმრთელობის ან ეკონომიკური ინტერესები დევს სასწორზე, მაგ. უპირატესობის მინიჭება მეგობრების ან ოჯახის წევრებისთვის მომსახურების მიწოდებაზე, ქრონიზმი, ნეპოტიზმი და ფავორიტიზმი დასაქმების, და ზოგადად, ჯანდაცვის სექტორის სამუშაო ძალის მენეჯმენტის პროცესში. აქტუალურია დამსახურებაზე დაფუძნებული დაქირავებისა და წახალისების, სამუშაო პირობებისა და საშუალებების, ქცევის კოდექსებისა და ინტერესთა კონფლიქტის პრევენციისა და კეთილსინდისიერების ამაღლების მექანიზმების შესახებ GRECO-ს რეკომენდაციები.

GRECO-მ არაერთგზის გაუწია რეკომენდაცია კეთილსინდისიერების გაუმჯობესების და ინტერესთა კონფლიქტის მართვის საკითხებზე სტრატეგიის შემუშავების მიზანშეწონილობას იმ პირობისათვის, რომლებსაც მნიშვნელოვანი აღმასრულებელი ფუნქციები აკისრიათ, მათ შორის საპასუხისმგებლო სარეკომენდაციო, მონიტორინგისა და შესაბამისობის მექანიზმების საშუალებით. ამ მიმართულებით, ასევე, მნიშვნელოვანია საჯარო მოხელეების ქცევის კოდექსების შესახებ მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია No.R(2000)10.

რაც შეეხება ლობირებას, ქვეყნებმა საჯარო გადაწყვეტილების მიღებისას უნდა იხელმძღვანელონ ლობისტური საქმიანობის სამართლებრივი რეგულირების შესახებ მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაციით No.R(2017)2, ისევე როგორც, GRECO-ს მთელი რიგი სხვა რეკომენდაციებით მოცემულ სფეროში⁶. GRECO, ასევე, რეკომენდაციას იძლევა, რომ უზრუნველყოფილი იქნას სათანადო ანგარიშგება ყველა იმ პირის კონტაქტების შესახებ, ვისაც მინდობილი აქვს უმაღლესი

⁵ იხ: <http://assembly.coe.int/nw/xml/XRef/Xref-DocDetails-EN.asp?FileID=19991&lang=EN>

⁶ შეჯამებულია: <https://rm.coe.int/corruption-prevention-members-of-parliament-judges-and-prosecutors-con/16807638e7>

აღმასრულებელი ფუნქციები ლობისტებთან და სხვა მესამე პირებთან, რომლებიც ცდილობენ გავლენა მოახდინონ მთავრობის მიერ გადაწყვეტილებების მიღების პროცესზე, მათ შორისაა, კომპანიებისა და დაინტერესებული ჯგუფების კანონიერ და უფლებამოსილ წარმომადგენლებთან კონტაქტები, და ასევე უზრუნველყოფილი იქნას ამ ინფორმაციის გასაჯაროება. მნიშვნელოვანია, როგორც საჯარო ხელისუფლების მიერ მიღებული გადაწყვეტილებების გამჭვირვალობის ლობირება, ასევე პანდემიასთან დაკავშირებული ინფორმაციის გავრცელება.

ინსაიდერული ვაჭრობა, ასევე, წარმოადგენს მაღალი რისკის სფეროს და უაღრესად მნიშვნელოვანია მათთვის, ვისაც თანამდებობიდან გამომდინარე, პრივილეგირებულ ინფორმაციაზე აქვთ წვდომა. ამ სფეროში განსაკუთრებით აქტუალურია GRECO-ს რეკომენდაციები აქტივების, შემოსავლის, ვალდებულებების და საპროცენტო შემოსავლების დეკლარირების შესახებ, მათ შორის, რეკომენდაციები რომლებიც შეეხებიან სრულყოფილ დეკლარაციებს, ასევე, მათ დროულად წარდგენასა და ხელმისაწვდომობას საეჭვო ოპერაციების იდენტიფიცირებაში დახმარების გაწევის (როგორცაა მაგალითად, აქციების თავიდან მოშორების მიზნით მათი გაყიდვა, ან განვითარებად ინდუსტრიებში ინვესტირება) ან საჯარო ხელისუფლების მიერ გადაწყვეტილებების მიღებაზე არასათანადო ზეგავლენის პრევენციის მიზნით.

(iv) COVID-19-თან დაკავშირებული თაღლითობის რისკები

რამდენიმე საერთაშორისო (მაგალითად, ინტერპოლი და ფინანსურ ქმედებათა სპეციალური ჯგუფი (FATF)) და ეროვნულმა ორგანომ (მაგალითად, FinGen) გამოაქვეყნა გაფრთხილებები COVID-19-თან ⁷ დაკავშირებული ფინანსური თაღლითური სქემების შესახებ, მათ შორისაა, ფალსიფიცირებულ სამედიცინო პროდუქტები. COVID-19 პანდემიასთან დაკავშირებით ნიღბებსა და სხვა სამედიცინო მარაგებზე მაღალი მოთხოვნის შედეგად მათი შეძენის გაძნელების გამო, საგრძნობლად გაიზარდა ონლაინ რეჟიმში შეთავაზებები ყალბი მაღაზიების, ვებ-გვერდების, სოციალური მედიის ანგარიშებისა და ელექტრონული ფოსტის მეშვეობით. ასეთი მიმდინაობი მსხვერპლის თანხები კრიმინალების ხელში ხვდება, რომლებიც შემდეგ ამ სახსრებს ათეთრებენ.

ევროპის საბჭოს MEDICRIME-ის კონვენცია⁸ მხარე სახელმწიფოებისგან მოითხოვს შემდეგი ქმედებების კრიმინალიზაციას:

- ფალსიფიცირებული სამედიცინო პროდუქტების წარმოება;
- ფალსიფიცირებული სამედიცინო პროდუქტების მიწოდება ან შეთავაზება და უკანონო ვაჭრობა;
- დოკუმენტების გაყალბება;
- სამედიცინო პროდუქციის წარმოება, მარაგების დამზადება/შენახვა, იმპორტი, ექსპორტი, მიწოდება ან მიწოდების შეთავაზება, ან ბაზარზე გატანა ავტორიზაციის გარეშე, და სამედიცინო მოწყობილობების წარმოება შესაბამისობის მოთხოვნების დაცვის გარეშე.

⁷ იხ. მაგალითად, FATF-ის პრეზიდენტის განცხადება: COVID-19 და უკანონო დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლაზე მიმართული ზომები, ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე: <http://www.fatf-gafi.org/publications/fatfgeneral/documents/statement-covid-19.html>

⁸ <https://www.coe.int/en/web/medicrime/home>

გარდა ამისა, ევროპის საბჭოს ფულის გათეთრების/ტერორიზმის დაფინანსების ეროვნულ დონეზე არსებული რისკების შეფასების მეთოდოლოგია წარმოადგენს უნიკალურ ინსტრუმენტს ფულის გათეთრების რისკების შესამცირებლად, მათ შორის, ჯანმრთელობის დაცვის სფეროში კორუფციის შემთხვევაში.

(v) ჯანდაცვის სექტორის ზედამხედველობა და ინფორმატორების დაცვა

რადგან საგანგებო სიტუაციების კანონმდებლობა უფრო მეტ ძალაუფლებას ანიჭებს აღმასრულებელ ხელისუფლებას, უაღრესად დიდ მნიშვნელობას იძენს ხელისუფლების სხვა შტოების (საკანონმდებლო, სასამართლო სისტემა), ინსტიტუტების (ომბუდსმენი, ანტიკორუფციული სააგენტოები და კორუფციასთან ბრძოლაზე პასუხისმგებელი სხვა სპეციალიზებული ორგანოები) და სამოქალაქო საზოგადოების (მაგ., საზოგადოებრივი ორგანიზაციების მხრიდან რეაგირება, ინფორმაციის გაზიარების და მონიტორინგის სისტემები, საზოგადოების მხრიდან ანგარიშგების ცხელი ხაზების შექმნა და ა.შ.) მხრიდან ზედამხედველობა. განსაკუთრებული როლი და პასუხისმგებლობა ეკისრება მედიას. ამასთან დაკავშირებით, მსურს ყურადღება გავამახვილო მთავრობების საყურადღებოდ შემუშავებულ სახელმძღვანელო მითითებებზე ადამიანის უფლებების, დემოკრატიის და კანონის უზენაესობის პატივისცემის შესახებ, რომლებიც ევროპის საბჭოს გენერალურმა მდივანმა გამოსცა 2020 წლის 8 აპრილს⁹.

განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება იმ პირთა (მამხილებლები) უფლებების დაცვას, რომლებიც წარადგენენ ინფორმაციას შესაძლო კორუფციის შემთხვევების შესახებ, დამოუკიდებლად იმისა, თუ რა არხებს აირჩევენ ისინი ინფორმაციის მისაწოდებლად (მაგ. ინფორმაციის მიწოდება უშუალოდ სამართალდამცავი ორგანოებისთვის, სხვა სპეციალური საჯარო ორგანოებისა თუ მედიისთვის, პირველ რიგში თავიანთი უშუალო ზემდგომების, ან იმ ადმინისტრაციული იერარქიის ინფორმირების გარეშე, რომლის შემადგენლობაშიც არიან).

მამხილებლის მიერ მიწოდებული ინფორმაცია შეიძლება გადამწყვეტი იყოს კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის, არასათანადო მენეჯმენტისა და სერიოზული დარღვევების გამოვლენისა და აღმოფხვრისთვის საჯარო და კერძო სექტორებში, მათ შორის ჯანდაცვის სექტორში. ევროპის საბჭო აცნობიერებს მამხილებლების მნიშვნელობას დანაშაულის შეკავებასა და თავიდან აცილებაში, და დემოკრატიული ანგარიშვალდებულებისა და გამჭვირვალების განმტკიცებაში. სახელმწიფოებმა უნდა იხელმძღვანელონ მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაციით CM/Rec (2014)7 მამხილებელთა დაცვის შესახებ¹⁰, და ასევე GRECO-ს რეკომენდაციებით მოცემულ სფეროში, რათა მამხილებლებისათვის ხელსაყრელი გარემო შექმნან ასეთ კრიტიკულ პერიოდში.

(vi) კერძო სექტორი

⁹ <https://www.coe.int/en/web/human-rights-rule-of-law/-/coronavirus-guidance-to-governments-on-respecting-human-rights-democracy-and-the-rule-of-law>

¹⁰ https://search.coe.int/cm/Pages/result_details.aspx?ObjectID=09000016805c5ea5

მოცემული კრიზისის პერიოდში კერძო სექტორი კორუფციის მომატებული რისკების წინაშე დგას. ეს რისკები მოიცავს ანაზღაურებას/ქრთამს იმ პროცესების განხორციელებაში დახმარების გაწევისთვის, რომლებიც შეიძლება შეჩერდეს პერსონალის უკმარისობის ან საჯარო სამსახურების დახურვის გამო, დოკუმენტების გაყალბებას პანდემიასთან ბრძოლასა და დახმარებასთან დაკავშირებული სახელმწიფო სქემების პირობების დასაკმაყოფილებლად, პროდუქტის სერტიფიცირების მოთხოვნების გვერდის ავლას, მიწოდების ალტერნატიული ჯაჭვების სერტიფიცირებაზე უარის თქმას, შემოწირულობებს, ცალკეული თანამშრომლების მიერ არასათანადო ქმედებებზე ზედამხედველობისთვის საჭირო რესურსების ნაკლებობას და ა.შ.

მოცემულ სექტორში გასათვალისწინებელია კორუფციაზე სისხლის სამართლის კონვენციის¹¹ შესაბამისი დებულებები, კორუფციის ხელშეწყობის მიზნით იურიდიული პირების ბოროტად გამოყენების პრევენციის შესახებ მე-5 სახელმძღვანელო პრინციპი, და კერძო სექტორისათვის მე-2 შეფასების რაუნდის შედეგად GRECO-ს მიერ შემუშავებული რეკომენდაციები, როგორცაა მაგალითად ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის, კორპორატიული პასუხისმგებლობისა და შესაბამისობის პროგრამების, და სათანადო შემოწმების ვალდებულებების შესახებ.

COVID-19 კრიზისის განმავლობაში ჩვენ უპრეცედენტო გამოწვევების წინაშე აღმოვჩნდით. ეს არ არის, და არ უნდა იყოს გამართლება ანტიკორუფციული სტანდარტებიდან გადახვევის ან მათი უგულებელყოფისთვის. პირიქით, დღეს ჩვენ უფრო მეტი ძალისხმევა უნდა დავხარჯოთ იმაზე, რომ გავაძლიეროთ კორუფციის და ნებისმიერი სხვა არაეთიკური ქცევის პრევენციაზე მიმართული ზომები. მთავარი ინსტრუმენტია გამჭვირვალობა. ეს ჩვენი ვალდებულებაა მოქალაქეების წინაშე, რათა ჩვენი ბრძოლა COVID-19 წინააღმდეგ იყოს სანდო და სარწმუნო.

ბმული: www.coe.int/greco

¹¹ კერძოდ კი მე-7 და მე-8 მუხლები.